ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 8

ქ. ახმეტა 3 ივნისი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ.კოხტაშვილი, თ.მგელიაშვილი, ლ. ითიურიძე, დ. იმერლიშვილი, ა. ხიზანაიძე, ნ. ალავიძე, თ. ბორჩაშვილი, გ. ხუცურაული, გ. ხადიშვილი, თ. ბოდაველი, რ. გახუაშვილი,ი. მრელაშვილი, ვ. დედაბრიშვილი, გ. მაისურაძე, შ. ტერტერაშვილი, ვ.სუხოშვლი, თ. მოზაიძე, თ.წითელაური, ლ. გოგოთიძე, რ. ალხანაშვილი, გ.ჭვრიტიძე.

სხდომა გაიხსნა 11 ⁰⁰ საათზე.

დღის წესრიგი

1. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

2. ,,თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების-სოფელ დართლოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. მატანში (ქორეთის გადასახვევი) მდებარე 14799კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

ვიდრე სხდომის თავმჯდომარე დღის წესრიგს კენჭისყრაზე დააყენებდა, თინათინ კუდიანაშვილმა მოითხოვა მე-4 საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება, რადგან დასადგენია ამ საკითხთან დაკავშირებული გარკვეული დეტალები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის შესწორებული სახით მიღება:

სხდომას ესწრება 22 საკრებულოს წევრი.
მომხრე - 22

დღის წესრიგი დამტკიცდა.

სხდომას შემოემატა ლევან გოგოთიძე.

მოისმინეს: 1. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო:

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანია დამტკიცდეს სტანდარტული ფორმა, რომელიც განსაზღვრავს მითითებისა და შემოწმების აქტების, დათვალიერების აქტისა და მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმის წარმოების მთლიანად პროცედურას, აღნიშნულ დოკუმენტაციაში შესატანი მონაცემების შინაარსსა და მოცულობას. ნორმატიული აქტის პროექტის მიზნებია აგრეთვე: სამშენებლო საქმიანობის კანონმდებლობასთან შეუსაბამობაზე სამართალდამრღვევი პირების მიმართ შენიშვნისა და შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დარღვევის გამოსწორება და მომავალში მისი აღმოფხვრის პრევენციული საშუალებების დანერგვა-ხელშეწყობა, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვაში სამართალდარღვევის უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფა, მშენებლობის დასრულების პროცესზე სათანადო საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის აღსრულება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება 8 მუხლისა და დანართებისაგან შემდეგი თანმიმდევრობით:

დანართი 1- მითითების აქტის ფორმა;

დანართი 2- შემოწმების აქტის ფორმა;

დანართი 3-შემოწმების აქტის ფორმა (მითითების გარეშე);

დანართი 4 -უწყების ფორმა;

დანართი 5 -დათვალიერების აქტის ფორმა;

დანართი 6- მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმის ფორმა;

დანართი 7 - სააღსრულებო ფურცლის ფორმა.

მითითების აქტით სამართალდამრღვევს განესაზღვრება გონივრული ვადა სამშენებლო საქმიანობაში მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო შემოწმების აქტი დგება მითითებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად. **პროექტი იძლევა საფუძველს გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან თუ რა შემთხვევაში ხდება ადმინისტრაციული წარმოების დაწყება მითითებით და რა შემთხვევაში - მითითების გარეშე, პირდაპირ შემოწმების აქტის საფუძველზე.** საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება

ა) მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსათვის იმ ობიექტების ექსპლუატაციაში მისაღებად განაცხადის დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია, თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ვ) მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.

უწყება ეგზავნება სამართალდამრღვევს იმ მიზნით, რომ თვითონ უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვაში.

დათვალიერების აქტში შეიტანება ინფორმაცია, თუ რა გახდა დათვალიერების საფუძველი (წერილის N და თარიღი), ასევე ვინაა დასათვალიერებელი ობიექტის მესაკუთრე და ვინ არის მშენებელი, ასევე ამ აქტში დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა გააკეთოს ახსნა-განმარტება, რაზედაც აწერს ხელს.

მშენებლობის ეტაპის დათვალიერების ოქმში კი აისახება, თუ როდის და როგორ დამთავრდა მშენებლობა, შესრულებულია თუ არა სამშენებლო სამუშაოები საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას <u>ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.</u>

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.

დანართები თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 23 წევრი.

მომხრე - 22

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1 (გიორგი მაისურაძე)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 8: ,, ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მითითება, შემოწმების აქტი, შემოწმების აქტი (მითითების გარეშე), უწყება, დათვალიერების ოქმი, მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი, სააღსრულებო ფურცელი) ფორმების დამტკიცების შესახებ;

სხდომას შემოემატა ლევან ითიურიძე/

მოისმინეს: 2. ,,თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების-სოფელ დართლოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა, რომ დოკუმენტაციაში არის გარკვეული ხარვეზები და მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება შემდეგ საკრებულოს სხდომამდე გადაიდოს საკითხის განხილვა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ითიურემ და აღნიშნა, რომ ეთანხმება საკითხის გადადებას ხელახალი შესწავლის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის გადადება.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 2 (შ. ტერტერაშვილი, ვ. დედაბრიშვილი)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1 (გ. მაისურაძე)

საკითხი გადაიდო.

მოისმინეს: 3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა განმარტა, რომ „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში არსებითი ცვლილებები არ შესულა, გარდა ერთისა: კანონით განისაზღვრა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს აღარ ექნებათ საჯარო მოხელის სტატუსი, შესაბამისად ამან გამოიწვია აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 24

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება N9: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11:35 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი